სახალხო განათლება+

● № 2 (4499) ● 15 ოქტომბერი ● 2014 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 80 თეთრი ●

უფალო, მოგვმადლე მე ნიჭი იმგვარად თქმისა, რომ არგოს ჩემს მსმენელს, ხოლო მას_ გულისყური, რომ უქმად არ დაშვრეს ენა ჩემი

ჩინებული სტარტი 166-ე სკოლისა

დიდი გარჯით მოხვეჭილი სახელი

ცოდნის ამ ბრწყინვალე ტაძარს დღესაც „ელიაურის სკოლას“ ეძახიან. პედაგოგსა და დირექტორს აკაკი ელიაურს კარგა ხანია ღირსეული მემკვიდრე გამოუჩნდა. **ირმა ომანაძე** შვიდი წელი შემოქმედ პედაგოგებთან ერთად იბრძვის უფრო მაღალ პედიესტალზე აიყვანოს სკოლის წარმატება და პოპულარობა.

ჩინებულად დაიწყეს ახალი სასწავლო წელი. ახალგაზრდა დირექტორს, გარდა ორგანიზატორული ნიჭისა, მომხიბლავი პიროვნული თვისებებიც ამკობს: მეტად თავაზიანი, სამართლიანი და ადამიანურია პედაგოგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან ურთიერთობაში. უბრალოა და თავმდაბალი. არა ჰგავს ზოგიერთ დირექტორს, რომლებიც იბღინძებიან, ძუნწსიტყვაობენ, პოზიორობენ.

ნაციონალები ამკვიდრებენ აზრს, თითქოს მხოლოდ ნეგატიურზე უნდა ვილაპარაკოთო. ფაქტია, მათ სკოლაში არ უსწავლიათ გურამიშვილის შეგონება: „კარგ კაცს ვითარ დავუკარგო, რაც რამ სიკარგეცა აქო?“

ჩვენ კი უფრო პოზიტიურზე გვსურს საუბარი: სკოლამ წელს ოთხი პირველი კლასი მიიღო. საერთოდ სკოლის მოსწავლეებმა ისარგებლეს მთავრობისა და განათლების სამინისტროს ყველა სიკეთე-საჩუქრით: უფასაო სახელმძღვანელოებით, კომპიუტერებით. ამით ხომ ძალიან მადლიერია საზოგადოება, მშობლები. წარჩინებული მეცხრეკლასელები დასაჩუქრდნენ პერსონალური კომპიუტერებით. ინკლუზიური განათლების კუთხით შარშან განხორციელდა სკოლისა და სამინისტროს ერთობლივი პროექტი. გაიხსნა „აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეთა ინტეგრირებული კლასი“. სკოლაში ფუნქციონირებს კეთილმოწყობილი ჯანმრთელობის კაბინეტი და ბუფეტი.

მაღალ შედეგებზე ორიენტირებული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის ასე შემოქმედებითად იღვწიან დირექტორის მოადგილეები: **მაია კაკაურიძე და ნინო როსტომაშვილი,** სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **მაგდანა მდივანი**, მთელი გუნდი გამოცდილი პედაგოგებისა. როგორც იტყვიან, ამინდს ქმნიან: ხარისხის მქონე პედაგოგი, მეცნიერების დოქტორი **ვაჟა კაკაბაძე** (მეწარმეობის საფუძვლები), ქიმიის გრიფირებული სახელმძღვანელოს ავტორი **მანანა ვარდიაშვილი**, მწვრთნელი მასწავლებლები: **ქეთევან ვერულაშვილი** (მათემატიკა), **ნინო როსტომაშვილი** (მუსიკა).

ნაყოფიერად მუშაობენ კათედრის ხელმძღვანელები: სახელმწიფო ენისა (ქართულის) – **მანანა მხეიძე**, მათემატიკისა – **ეკა მამულაძე**, საბუნებისმეტყველო საგნებისა – **ელენე ჯულაყიძე**, საზოგადოებრივი მეცნიერებისა – **ლია ჩაჩუა**, უცხოური ენებისა – **ხათუნა ტყეშელაშვილი**, ესთეტიკური აღზრდისა – **ირმა გოცირიძე**, დაწყებითი საფეხურისა – **იზოლდა კალანდაძე**, სპორტისა – **ნანა გულიტაშვილი**.

საბედნიეროდ, თავიანთი ფუნქციით მანდატურები კარგად მოერგნენ და შეეწყვნენ სასკოლო ცხოვრებას.

გოგიტა მერაბიშვილი, **შორენა კალომლეწავი, ეკა მეშველიანი და ქეთევან ცუცქირიძე** ეფექტიანად ზრუნავენ სკოლაში უსაფრთხოებისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ასე იყო და ასე იქნება: წარსულის შედეგებზე შენდება ახალი წარმატებები. გასული სასწავლო წლის მოსავალი კი მოკლედ ასეთია: სკოლა 101-მა მოსწავლემ დაამთავრა. ოქროს მედლები მოიპოვეს: **ქეთევან ცირეკიძემ**, **დეა მამულაშვილმა, გვანცა ნოზაძემ, მარიამ სვიმონიშვილმა, ხატია სტურუამ, ელენე ჭირაქაძემ, თამარ რუხაძემ, თამარ გაიპარაშვილმა, ვერცხლისა – მარიამ გორდელაძემ, ეკატერინე ფრუიძემ და ელენე ყრუაშვილმა**. 92 ახალგაზრდა დღეს სტუდენტია. მათ შორის ოცამდე – 100%-იანი გრანტის მფლობელი.

თურმე მზესაც აქვსო ლაქები. ინფრასტრუქტურის კუთხით სპორტულ დარბაზებში სერიოზული რემონტია ჩასატარებელი, რასაც სკოლა საკუთარი ძალებით ვერ გასწვდება. ასე რომ, მთავრობის დახმარება აუცილებელია. სხვა მხრივ კი: „აჰა, დიდების და სახელქების ასპარეზია თქვენთვის დაცლილი“, 166-ე საჯარო სკოლელებო!

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს I³ კლასელები დედასავით ჩაიხუტა, მიეხმატკბილა, დიდხანს ეალერსა მათ მათი პირველი მასწავლებელი, მრავალი თაობის აღმზრდელი ნანა ანდრიაძე.

თავად კი გამოჩენილი პედაგოგის, მერი აფხაზავას 149-ე საჯარო სკოლაშია აღზრდილი. ცოტა ხანს მშობლიურ ცოდნის ტაძარში იღვაწა დაწყებითი კლასების პედაგოგად. აგერ უკვე ჩვიდმეტი წელია, სახელოვან 166-ე საჯარო სკოლაში აფრთიანებს ცეროდენებს, აკვალიანებს მათ დედა ენისა და მამულის სიყვარულით.

ფოტოზე ხედავთ, როგორი გატაცებით უსმენენ პაწიები პირველი მასწავლებლის ტკბილმშობლიურ საუბარს.

ცოტა დრო გაივლის და ერთ მშვენიერ დღეს, ერთ მშვენიერ ზეიმზე ეს პატარები ნანა მასწავლებელზე იტყვიან: „შეგვაყვარა ანი-ბანი, შეგვასწავლა დედა ენა, თავს გვევლება, ფრთებს გვისწორებს, რომ თამამად შევძლოთ ფრენა“.

ნანა ანდრიაძე გაკვეთილზე I³ კლასში
ნათია ანდრიაძის ფოტო

საღლეისო თემაზე

მასწავლებელს უნდა ეყოს ხელფასი, თუ – პირიქით?

საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადებით, 2015, 2016 და 2017 წლებში მასწავლებლის ხელფასი მზარდი იქნება.

ამის შესახებ მან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის განხილვაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„მე მაქვს ძალიან დიდი იმედი, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალი სისტემა ახალ პერსპექტივებს შექმნის. მასწავლებლის პროფესია ერთ-ერთ

ყველაზე პრესტიჟულ პროფესიად უნდა ვაქციოთ და ჩვენ ვართ მზად ამ ინიციატივის ფინანსური ხელშეწყობისთვის. ეს არის ჩვენი ვალდებულება, რომ სათანადოდ დაგაფასოთ. მე ვიცი, რომ თქვენ მეტს იმსახურებთ, მაგრამ სამწუხაროდ, სახელმწიფოს არ აქვს იმის საშუალება, რომ ამ ეტაპზე თქვენი ღირსეულად დაფასება მოხდეს. მაგრამ მე გპირდებით, რომ ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რომ თქვენი პროფესია, თქვენი საქმიანობა დაფასდეს მაქსიმალურად. მინდა გითხრათ, რომ 2015 წელს დამატებით გამოიყოფა ფინანსური რესურსები და დაიწყება მასწავლებლის სახელფასო პოლიტიკის მოწესრიგება და თქვენი ხელფასების გაზრდა. ნოემბრის თვისთვის ჩვენ უკვე კონკრეტულად გვეცოდინება დამატებითი ინვესტიციების ზუსტი მოცულობა და მასწავლებლის ხელფასი იქნება მზარდი 2015, 2016 და 2017 წლებში“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისივე თქმით, ის, რომ მასწავლებლის ხელფასის ზრდა, ახალი სქემის თანახმად, მხოლოდ მის მიღწევებზე იქნება დამოკიდებული, თითოეულ მასწავლებელს მოტივაციას გაუზრდის.

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოსაწერად შეგიძლიათ მიმართოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქპრესა – გურამიშვილის გამზ. 64, ტელ.: (032) 2 518 518, მაცნე – საირმის ქ. კორპ N 4, ტელ.: 2 14 74 22.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

სკოლაში ახალი დირექტორი მოვიდა

ენთუზიაზმის ხიბლი

გაცისკროვნებული რომ შემხვდა, მასში დიდი ენერგია, ენთუზიაზმი შევნიშნე. საუბრისას დავრწმუნდი, როგორ იტაცებს სკოლა, როგორ უყვარს მოსწავლე, მასწავლებელი, შრომა, სამართლიანობა. აი, როგორი მიზანსწრაფული ხელმძღვანელი მოევლინა ახალ სასწავლო წელს თბილისის 48-ე საჯარო სკოლას. იცნობდეთ: იგი გახლავთ 115-ე სკოლისა და დედაუნივერსიტეტის აღზრდილი, ისტორიის გამოცდილი მასწავლებელი **ირმა ფუხაშვილი**.

სანამ მის სამოქმედო პროგრამაზე ვისაუბრებდეთ, მოკლედ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობით სიტუაციას გავეცნოთ: ახალ ხელმძღვანელს მხარს უმშვენებენ მეტად გამობრძმედილი პედაგოგების გუნდი, გამოცდილი დირექტორის მოადგილე **მაია ქალიაშვილი**, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **მზია დოლიაშვილი**, 15 სერტიფიცირებული პედაგოგი. მათ შორის ორი ათასლარიანი სერთიფიკატის მფლობელია: **თამუნა გელენიძე** და **ნათია ზალკალიანი**. გამოცდილი თავმჯდომარეებით დაკომპლექტებული სასწავლო კათედრები ხომ დიდი ძალაა? აი, ისინი: **ევა სააკაშვილი** (საზოგად. მეცნიერება), ნინო პეტრიაშვილი (საბუნებისმეტყველო), **ნანა ჩხეიძე** (ქართული), **მანიჟა ღონღაძე** (მათემატიკა), **ვიკა კანდელაკი** (უცხოური ენები), **თამილა მაჩურიშვილი** (დაწყებითი), **მზია ხოსროშვილი** (ხელოვნება, სპორტი).

გავეცანით ინკლუზიური სწავლების მაღალ ხარისხს, ამ სფეროს ჩინებულ სპეცმასწავლებელს **თამარ გოგიტაურს**.

ასეა ხოლმე, წარსულის წარმატებებზე შენდება მომავალი. შარშან 54-მა ახალგაზრდამ დაამთავრა სკოლა. **მარიამ ფოცხვერაშვილმა** ოქროს მედლით ასახელა სკოლა და 100%-იანი გრანტით სტუდენტი გახდა. დღეს 28 ახალგაზრდა უკვე სტუდენტია.

მანდატურებმა ნამდვილად გაამართლეს თავიანთი ფუნქცია. ავტორიტეტი და საერთო სიყვარული მოიხვეჭეს: **ანა ცხვარიაშვილმა, მზია ლობჟანიძემ და რამაზ ქავთარაძემ**.

ხალისიანი, მჩქეფარე სასკოლო ცხოვრებისთვის ემზადება მოსწავლეთა თვითმმართველობა, ინიციატივიანი, ნიჭიერი მეათეკლასელის **ანა ჯავახის** თავმჯდომარეობით. მოსწავლეთა ფართო ჩართულობით სკოლა ამზადებს ჯადოსნურ ღონისძიებას, გიორგობის დღისადმი მიძღვნილ მხატვრულ-შემოქმედებით აქციას. მოსწავლეები ზღვაზე ეწვევიან მოხუცთა თავშესაფარ-სანატორიუმს, ხანდაზმულებს მოესიყვარულებიან, შემოდგომის ნობათს მიართმევენ და თავიანთი ხელოვნებითაც დაატკბობენ.

ახალმა დირექტორმა სამომავლო პროექტ-მიზნები გამაცნო. მათზე ამჯერად ვერ შევჩერდებით და შემდეგისთვის იყოს. ეს გეგმა სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ეფექტიანობის, მაღალი ხარისხისკენ არის ორიენტირებული. როცა ასეთი ენთუზიაზმი, საქმის სიყვარულია, შესანიშნავ პედკოლექტივთან შეხმატკბილებულ-შემოქმედებითი მოღვაწეობით გამარჯვებას წინ ვერაფერი დაუდგება. და ჩვენც ხომ ეს გვინდა. ამას ვუსურვებთ ახალ დირექტორს.

ბორის ევგენიძე

„შავნაბადა" ISO სერთიფიკატისთვის ემზადება

შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზიის – „შავნაბადა" აღმასრულებელი დირექტორი **ავთანდილ აბდუშელიშვილი** სასწავლებლის ჩამოყალიბებაზე, მის პრიორიტეტებსა და წლის განმავლობაში განსახორციელებელი საინტერესო გეგმების შესახებ გვესაუბრება.

***

– ბატონო ავთო, როდის დაარსდა და ვინ იყო გიმნაზიის შექმნის ინიციატორი?

გიმნაზია 1995 წლის 4 სექტემბერს დაარსდა, მისი დამფუძნებლები ჩემი მშობლები – **მამა გიორგი (გოჩა) აბდუშელიშვილი და ქეთევან ლაბაძე-აბდუშელიშვილი** არიან. მათი ძირითადი სურვილი გახლდათ ის, რომ ისეთი სასწავლო დაწესებულება ჩამოეყალიბებინათ, სადაც მოსწავლეები ხარისხიან განათლებასაც მიიღებდნენ და პედაგოგები მათ პიროვნულ ჩამოყალიბებასა და სულიერ აღზრდაზეც იზრუნებდნენ. მანამდე, ისინი მაშინდელ საშუალო სკოლებში მუშაობდნენ და აღნიშნავენ ხოლმე, რომ ბევრ პრობლემას ხედავდნენ, ზოგადად, სასწავლო პროცესში, მასწავლებლების მოსწავლეებთან, დირექციის თანამშრომლებთან დამოკიდებულებაში და ამ ყველაფრის მიმართ პროტესტმა განაპირობა ისეთი გიმნაზიის ჩამოყალიბება, სადაც თავიანთთვის სასურველი მიზნების განხორციელებას შეძლებდნენ. ასე დაფუძნდა დამოუკიდებელი საერო გიმნაზია. ამჟამად ჩვენთან დაახლოებით 570 მოსწავლეა.

– რის მიხედვით შეირჩა სახელწოდება?

„შავნაბადა" გიმნაზიას დაარსებიდან მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ ეწოდა. მამა გიორგი უწმინდესთან სტუმრად იმყოფებოდა და მას სკოლისთვის რამდენიმე სახელი შესთავაზა. იმ პერიოდში, იგი შავნაბადას მონასტერში მსახურობდა, მორჩილი გახლდათ და უწმინდესმა უპასუხა – რატომ სხვა სახელი, როდესაც შეიძლება შავნაბადა ეწოდოსო და ასე გადაწყდა. გიმნაზიამ ბევრი ქარტეხილი გამოიარა, მაგრამ ნელ-ნელა თავი დაიმკვიდრა და ვითარდება. დიდი ყურადღება ექცევა სასწავლო პროცესის მაღალი ხარისხით ორგანიზებას, კვალიფიცირებული პედაგოგების არსებობას. ხარისხიანი განათლება, მოსწავლის პიროვნული და სულიერი ჩამოყალიბება, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და ფიზიკური განვითარება, ჩვენი კონცეფცია და პრიორიტეტია. გვინდა, ეს ყველაფერი თანაბრად იყოს გადანაწილებული და აქცენტი რომელიმე ერთ კომპონენტზე არ გავაკეთოთ. როცა ვაანალიზებთ, ყოველი წელი წინაზე უკეთესია, ორგანიზების თვალსაზრისით იქნება, ინფრასტრუქტურული თუ სხვა შედეგების.

– რა წრეები ფუნქციონირებს გიმნაზიაში?

სასწავლო პროცესში ვაჟებისთვის ხრიდოლის, ხოლო გოგონებისთვის – გოგმანის სწავლება შედის. ასევე, ჭადრაკი, მეტყველების კულტურა, სპორტი, თავისთავად, როგორც გაკვეთილი, სიმღერა, ხატვას მხატვარი ასწავლის, კვირაში ორ საათს, გვაქვს ხალხური სიმღერის, ხალხური საკრავების, ქართული სამხმოვანი გალობის წრე, ინტელექტუალური და დრამწრეები. თითქმის ყველა, რაც საზოგადოებაში მოთხოვნადია. ეს ყველაფერი სწავლის საფასურში შედის, მაგრამ თუ ამის გარდა, მშობელს სხვა წრეებზე ტარების სურვილი აქვს, ცეკვა, ფორტეპიანო, კალათბურთი, ხატვა, დამატებით, ფასიანია. ვინაიდან ჩვენი სასწავლებელი კერძო და ფასიანია, ჩვენი მომსახურებით უნდა განვსხვავდებოდეთ. წლის განმავლობაში ჩვენთან უამრავი ღონისძიება იმართება, ტრადიციულად, სხვადასხვა კვირეულებს ვატარებთ, რომლებშიც ყველა კათედრაა ჩართული და ვალდებულია, პროექტებით თუ შემეცნებითი ღონისძიებებით გამოვიდეს. მიგვაჩნია, რომ როდესაც მოსწავლე აუდიტორიის წინაშე ან სცენაზე გამოდის, ამ პროცესს ბევრი დადებითი შედეგი მოაქვს, მას პატარა ასაკიდან აუდიტორიასთან ურთიერთობის უნარი უვითარდება და ამის კომპლექსი ეხსნება. სხვადასხვა საკითხზე დისკუსიები იმართება, ცნობილ ადამიანებს ვიწვევთ და მოსწავლეებს საშუალება აქვთ, მათ გაესაუბრონ, თავიანთი აზრი დააფიქსირონ. როგორც აღვნიშნე, თეატრალური წრე გვაქვს, სადაც სპექტაკლები იდგმება და ჩვენმა ბავშვებმა „სამანიშვილის დედინაცვალი" რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზეც კი ითამაშეს. ჩვენი მოსწავლეები ყოველწლიურად აქტიურად მონაწილეობენ და იმარჯვებენ ეროვნულ თუ კერძო სასწავლო ოლიმპიადებში, სხვადასხვა სახის ღონისძიებებში და ა.შ. როგორც წესი, ეროვნულ გამოცდებზე მათი უმეტესობა მაღალპროცენტიან სახელმწიფო დაფინანსებას იღებს.

– შესანიშნავია. როგორც ვიცი, ოქტომბრის თვეში საერთაშორისო აუდიტებს ელოდებით, რომ მენეჯმენტში ISO სერტიფიკატი მიიღოთ.

დიახ, ჩვენთვის ეს ახალი გამოწვევაა. ისინი ჩვენ თვითონ მოვიწვიეთ, რადგან გიმნაზიას სურვილი აქვს ISO 9001 სერთიფიკატი აიღოს. იშვიათია სასწავლო დაწესებულება, რომელსაც თავის მმართველობაში საერთაშორისო აღიარება აქვს. ამ პროცესში ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ეს სერთიფიკატი მუდმივი არ გახლავთ, ერთწლიანია და მუდმივად განახლება სჭირდება, შესაბამისად, დროთა განმავლობაში მათი მხრიდან მოთხოვნები უფრო იზრდება და ორგანიზაციული საკითხების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება ხდება. მართალია, ეს ჩვენთვის მეტნაკლებად ახალი თავსატეხია, რომელიც ჩვენ თვითონ გავიჩინეთ, მაგრამ ეს ადასტურებს იმას, რომ გიმნაზიას ერთადერთი მიზანი აქვს – მუდმივი სწრაფვა განვითარებისკენ. გვინდა, რომ არ ჩამოვრჩეთ პროცესებს, თვითგანვითარებასა და სიახლეების დანერგვაზე ვიყოთ ორიენტირებულები და ფეხი ავუწყოთ იმ პროცესებს, რომლებიც არა მხოლოდ საქართველოში, საერთაშორისო სივრცეში მიმდინარეობს. გარდა ამისა, ბევრი სხვა გეგმა და პროექტი გვაქვს, რომელსაც წლის განმავლობაში აუცილებლად განვახორციელებთ და თქვენს მკითხველსაც გავაცნობთ.

კეთილი, წარმატებებს გისურვებთ.

ესაუბრა **ნათია გურგენიძე**

ჩვენი დროის დიდი ქართველი პედაგოგი

გასული საუკუნის 60-70-იანი წლები განსაკუთრებული იყო. თითქმის ყველა ახალი საგანმანათლებლო წამოწყება თუ ექსპერიმენტი საქართველოდან იწყებოდა. ქართველ ნოვატორ პედაგოგთა საქმენი და სახელები მთელ ქვეყანაზე გახმაურდა. საიდან აღარ ჩამოდიოდნენ საქართველოში გამოცდილების გასაგებად თუ იმ პედაგოგთა გასაცნობად, რომლებიც ამ გამოცდილებას ქმნიდნენ.მათ შორის გამორჩეული იყო **ლევან ჩიქვანაია**, განსაკუთრებული ნიჭიერებითა და პიროვნული მომხიბვლელობით დაჯილდოებული კაცი...

ზუსტად არ მახსოვს 1972 თუ 1973 წელია, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციაში ახალი დაწყებული მაქვს მუშაობა, მთავარმა რედაქტორმა, შესანიშნავმა პიროვნებამ გრიშა საჯაიამ მიხმო და მითხრა: ხვალ ორჯონიკიძის (ახლანდელი ვაკე-საბურთალოს) რაიონში პარტიული აქტივის კრება ტარდება განათლების საკითხებზე და შენ უნდა დაესწრო. ამ ნათქვამში სათანადო საჟურნალო მასალის მომზადებაც იგულისხმებოდა, ცხადია. მთავარ რედაქტორს არ უთქვამს ამასა და ამაზე გაამახვილეთ ყურადღება, რადგან კარგად იცოდა, ვისაც რა უნდა უთხრა, ყოველი კაცი მაინც იმაზე შეაჩერებს ყურადღებას, რაც მასზე ძლიერ ემოციურ გავლენას მოახდენს.

ჭკვიანი კაცი იყო გრიშა საჯაია! იშვიათად არიან ასეთები ახლა!

მეორე დღეს, რა თქმა უნდა, ადრიანად მივედი დანიშნულების ადგილზე – ორჯონიკიძის რაიონის ადმინისტრაციული შენობის მთავარ სააქტო დარბაზში.

...დარბაზი გაივსო, მალე ფეხზე დასადგომი ადგილიც აღარსად დარჩა, ხალხი ღია კარებთან მოჯარდა. ყური მოვკარი, აქა-იქ კითხულობდნენ ჩიქვანაია აქ არისო? გამოვაო? ალბათო, – პასუხობდნენ. **ლევან ჩიქვანაია** როგორ არ ვიცნობდი, თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი იყო მაშინ, მაგრამ პარტაქტივის კრებაზე მის ყოფნაარყოფნაზე რატომ ფიქრობდა დარბაზი, ეს ვერ გავიგე.

კრება რაიკომის პირველმა მდივანმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ შესავალი სიტყვით გახსნა. მის შემდეგ ორი-სამი თანამდებობის პირი გამოვიდა, სტანდარტული სიტყვები თქვეს, რაც, მგონი, არც არავის მოუსმენია. ეტყობოდა დარბაზს ეს! ამის შემდეგ კრების წამყვანმა გამოაცხადა, სიტყვა ეძლევაო თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორს, **ლევან ჩიქვანაიას** და... დარბაზში ტაშმა იქუხა...

გაოცებისაგან, მგონი, პირი ღია დამრჩა, ვინ ყოფილა-მეთქი ეს **ლევან ჩიქვანაია**: არც პარტიული თანამდებობა აქვს, არც სამინისტროს ჩინოვნიკია, არც ჩინ-მენდლებითა და სამეცნიერო ტიტულებით არის დახუნძლული და რასაა რომ გადაირია-მეთქი დარბაზი...

როგორც კი ტრიბუნასთან მივიდა ლევანი, დარბაზი გაისუსა, მხოლოდ თვალებად და ყურებად იქცა ამდენი ხალხი. უცბად სხვა სამყაროში აღმოვჩნდით. ეს არ იყო საბჭოურ პარტიულ აქტივზე გამომსვლელის სიტყვა. ეს სხვა იყო, რაღაც ახალი, მაგრამ სავსებით გასაგები და მოსაწონი.

ლევან ჩიქვანაიამ სიტყვა რომ დაამთავრა, დარბაზში ლამის ჭერი ჩამოიქცა მქუხარე ტაშის გამო, რაიკომის მდივანიც ფეხზე მდგომი უკრავდა ტაშს ამ ბრწყინვალე ორატორულ პუბლიცისტიკას.

საერთო აღტაცების ბურანიდან რომ გამოვედი, დარბაზში ხალხი შეთხელებულიყო, ფეხზე მდგომები კი აღარსად ჩანდნენ, არც კარებს შიგნით და აღარც გარედან.

ეს ხალხი **ლევან ჩიქვანაიას** მოსასმენად ყოფილა მისული, თურმე.

ლევან ჩიქვანაიას ბიოგრაფიაში მისი დროის მთელი ავ-კარგი აისახა. მას იოლი ცხოვრება არ ჰქონია, თუმცა ტრიუმფატორიც არაერთხელ ყოფილა. დედა დაბადებისთანავე დაკარგა, მამა კი ავბედითმა დრომ დიდი ხნით დაუკარგა. თომა ჩიქვანაია ცნობილი მწიგნობარი კაცი იყო თავისი დროის საქართველოში და ოცდაათიანი წლების ქარტეხილებში უდანაკარგოდ გამოვლა ძნელი იყო მაშინ. ისიც თუ შვილივით ოქროპირი იყო, წამოსცდებოდა რაღაც, ან გამომცემელი კაცი ვინმე „არაკეთილსაიმედო“ ავტორის წიგნის გამოცემას შეეცდებოდა და გადაასახლეს, ალბათ, კიდევაც. ლევანმა მამა რომ პირველად ნახა, კარგა მოწიფული ვაჟკაცი იყო, თურმე, მაშინ მას ძირითადად ბებია ზრდიდა, მერე მამიდა და მამიდას ქმარი, განათლების ცნობილი მოღვაწე ბესარიონ კიზირია პატრონობდა... თუმცა ის ყოველთვის თვითონ იყო თავისი თავის პატრონი!

...უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე პედაგოგიურ საქმიანობას შეუდგა, რასაც დიდი თავდადებით, სიყვარულითა და რუდუნებით მისდევდა სიცოცხლის ბოლომდე.

კარგი თაობა იყო **ლევან ჩიქვანაიას** თაობა. მაღალ იდეალებზე იყვნენ აღზრდილები და თავიანთი ცხოვრების მიზნად, სწორედ, ამ იდეალების განხორციელება მიაჩნდათ. მისი თაობის კაცებმა უზადო ერთგულება და თანადგომა იცოდნენ, ერთმანეთის ნიჭის დაფასება არც უჭირდათ და არც ეთაკილებოდათ. მერე, ერთ ხანს, ლევან ჩიქვანაია პედაგოგიურ გაზეთშიც მუშაობდა. წერა უყვარდა, კალამი უჭრიდა და ნიჭითაც უხვად იყო დაჯილდოებული და სხვა რაღა სჭირდებოდა ჟურნალისტს, მაგრამ... მისი მოწოდება პედაგოგობა იყო და არა მარტო მოწოდება, ალბათ, ბედისწერაც...

...გასული საუკუნის 60-იანი წლები ქართული სკოლის განვითარებაში განსაკუთრებული პერიოდია. სწორედ მაშინ დაიწყო ის რადიკალური ცვლილებები პედაგოგიკის თეორიასა და პრაქტიკაში, რამაც იმდროინდელი საბჭოთა, მათ შორის ქართული სკოლა მსოფლიოს მოწინავე პოზიციებზე გაიყვანა.

და, აი, ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება თბილისში ექსპერიმენტული სკოლის გახსნის შესახებ. ქართველ მეცნიერ-ექსპერიმენტატორებს აუცილებლად სჭირდებოდათ ასეთი საბაზო სკოლა. ბევრნი იყვნენ ისინი უკვე – ფსიქოლოგები და პედაგოგები, მეთოდისტები და ორგანიზაციის მართვის სპეციალისტები. სკოლა კი უნდა გახსნილიყო, მაგრამ ვინ იყო ის კაცი, რომელიც ამ დაწესებულებას ჩაუდგებოდა სათავეში: მეცნიერ-ფსიქოლოგებს, მეცნიერ-პედაგოგებს, განათლების ორგანიზაციისა და მართვის კონსერვატორ სპეციალისტებსა და, ბოლოს და ბოლოს, ახირებულ და პრეტენზიულ მშობლეთა ჯგუფებს კომპეტენტური დირექტორის სტატუსით დაელაპარაკებოდა და მათი უსაზმანო პრეტენზიების წინაშე უკან არ დაიხევდა? პასუხი ყველა დონეზე ცალსახა იყო: **ლევან ჩიქვანაია**!

თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში გამობრწინდა სრულად **ლევან ჩიქვანაიას** პედაგოგიური და ორგანიზატორული ტალანტი. საბედნიეროდ, იმდროინდელმა განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობამ სრული დამოუკიდებლობა მისცა ახალგაზრდა დირექტორს და მანაც საოცარი სიზუსტით შეარჩია მასწავლებელთა კადრები. დირექტორმა იმთავითვე განსაზღვრა, რომ ეს სკოლა უნდა ქცეულიყო ნოვატორული პედაგოგიური იდეების არა მარტო ექსპერიმენტული შემოწმების ცენტრად, არამედ ამგვარი იდეების გენერატორადაც. ამიტომ საკმარისი არ გახლდათ კარგი მასწავლებლების შერჩევა, აუცილებელი იყო, აგრეთვე, მათ სიახლისადმი სწრაფვა და სტერეოტიპებიდან გამოსვლის სურვილიც ჰქონოდათ. მან ძირითადი აქცენტი ახალგაზრდა პედაგოგებზე გააკეთა. სწორედ ისინი გახდნენ იმ უმნიშვნელოვანესი პედაგოგიური ნოვატორობის თანამონაწილენი, რაც „თანამშრომლობის პედაგოგიკის“ სახელით გაიცნო მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ.

ამ სკოლაში იმთავითვე დაიდო სათავე ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიამ, რომელსაც ჯერ პროფესორი ბარნაბა სიხარულიძე ხელმძღვანელობდა, შემდეგ დღეს მსოფლიოში ცნობილი დიდი ქართველი პედაგოგი, ჰუმანური პედაგოგიკის მესაძირკვლე და თეორეტიკოსი შალვა ამონაშვილი. **ლევან ჩიქვანაიამ** ყველა პირობა შეუქმნა ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიას. მისი ოსტატური დირიჟორობით ჩაება მთელი პედაგოგიური კოლექტივი ახლებური სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკაში. სულ მალე მთელმა ქალაქმა და რესპუბლიკამ გაიგო, რომ თბილისში, საირმის ქუჩაზე არის ისეთი სკოლა, სადაც ყველა ბავშვს უხარია წასვლა, სწავლა და პედაგოგებთან ურთიერთობა და რომ მას პირველი ექსპერიმენტული სკოლა ჰქვია. ეს იყო და, თბილისის ყველა უბნიდან მოაწყდნენ ამ სკოლაში სწავლების მოწადინე ბავშვების მშობლები, იყო ერთი რეკვა და „ჩაწყობები“, მაგრამ ახალგაზრდა სკოლის დირექტორი შეუვალი იყო: არავითარი შერჩევა! სკოლა ცხადია ყველა მსურველს ვერ დაიტევს, მიღებული იქნებიან ისინი, ვინც სხვაზე ადრე შეიტანს განცხადებას, რა თქმა უნდა, უპირატესობა სკოლის მიკრორაიონში მცხოვრებთ მიეცემათ. თბილისის პირველი ექსპერიმენტულ სკოლას „**ჩიქვანაიას სკოლით**“ მოიხსენიებდნენ.

თბილისში სულ ორი სკოლა იხსენიებოდა საზოგადოებაში მათი დირექტორების სახელებით: „გიორგაძის სკოლა“ და „კობახიძის სკოლა“. ამათ მიემატა „**ჩიქვანაიას სკოლა**“. ეს ნიშნავდა რომ ამ სკოლებში ყველა სხვა სკოლებისაგან განსხვავებული, ყველა მოსწავლისათვის სასიკეთო გარემო იყო შექმნილი და მათი დირექტორები მოსწავლეთა და მშობელთა უსაზღვრო ნდობას იმსახურებდნენ.

მეცნიერთა და პედაგოგთა საქმიანი თანამშრომლობის ის მოდელი, რომელიც ლევან ჩიქვანაიამ დაამკვიდრა სკოლაში, უაღრესად ეფექტიანი გამოდგა. მეცნიერ-მკვლევართა და ექსპერიმენტატორ-პედაგოგთა საქმიანობაში სრული ჰარმონია დამყარდა, ამიტომ მოსწავლეებისათვის ბუნებრივად მისაღები გახდა ახალი აღმზრდელობითი რეალობები, მეტიც. აღზრდის პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი გასაოცრად ამაღლდა. ეს, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, იმ მეცნიერული კონცეფციების ჭეშმარიტებასა და საიმედოობაზე მეტყველებს.

სულ მალე მთელმა ქვეყანამ შეიტყო თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში სწავლებისა და აღზრდის პიროვნულ-ჰუმანურ პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობის საოცარი შედეგები. რესპუბლიკურ და საკავშირო პედაგოგიურ და არაპედაგოგიურ ჟურნალ-გაზეთებში დაიწერა სტატიები, გამოიცა წიგნები. ქვეყნის ყველა კუთხიდან დაიძრნენ მასწავლებელთა დელეგაციები თბილისური სიახლეების გასაცნობად. დამკვიდრებული რუტინა საფუძვლიანად შეირყა, რამაც შეაშფოთა უძრაობას შეჩვეული მეცნიერ-პედაგოგთა და პრაქტიკოსთა ფართო წრეები და დაიწყო მწვავე შეტევები ექსპერიმენტულ სკოლაში მიმდინარე პროცესებზე; ცილისწამებანი, ბეზღობა, ცრუ ბრალდებები უხვად მოედინებოდა ნოვატორი სკოლის მისამართით.

ლევან ჩიქვანაიას მიერ ჩამოყალიბებულმა სკოლის მონოლითურმა კოლექტივმა ერთი წამითაც არ უღალატა იმ პედაგოგიურ მრწამს, რაც ამ სკოლაში ნოვატორებმა დაამკვიდრეს და გაიმარჯვეს! ამ სკოლაში მიმდინარე მეცნიერული კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობის შედეგები ყველა დონეზე იქნა აღიარებული და საერთაშორისო რეზონანსი მოიპოვა.

წარმატებული სკოლის დირექტორი იმდროინდელმა ხელისუფლებამ დააფასა და ლევანი დააწინაურეს: ჯერ განათლების სამინისტროში გადაიყვანეს სამმართველოს უფროსად, შემდეგ კი ერთ-ერთი ურთულესი უბანი – თბილისის განათლების სამმართველო ჩააბარეს.

ბატონი ლევანის დიდი გამოცდილება მალე არსებითად დაეტყო კიდეც თბილისის სასკოლოსისტემას, კერძოდ, პრინციპულად შეიცვალა ხელმძღვანელ კადრებთან დამოკიდებულება, წინა პლანზე წამოვიდა მათი პროფესიული და ორგანიზატორული უნარები, ჩამოყალიბდა მასწავლებლის შრომის დაფასების ახლებური სისტემა (ცალკეულ საგნებში წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდების შემოღება და სხვ.). შემდგომში, სამწუხაროდ, როგორც ბევრი სხვა რამე, ეს შესანიშნავი წამოწყებაც დაივიწყეს.

90-იანი წლების დასაწყისში ისე მოხდა, რომ **ლევან ჩიქვანაია** იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად დანიშნეს. ძნელბედობის ჟამი ედგა მაშინ საქართველოს და, რა თქმა უნდა, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსაც. ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა ხელფასები ჯერ გაკუპონდა, მერე კი იმდენი ლარი გახდა, სირცხვილით რომ ვერ გაამხელდი სადმე. ამის მიუხედავად, ინსტიტუტის დირექტორმა სასნაულებრივად მოახდინა სამეცნიერო პოტენციალის შენარჩუნება და კვლევითი მუშაობაც კი არ შეუწყვეტია მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებას. სწორედ იმ წლებში შეიქმნა ქართული პედაგოგიური აზრის ანთოლოგიის სამტომეული, პედაგოგიურ ცნება-ტერმინთა ლექსიკონი, მაგრამ ნაცების ხელისუფლებას მეტი საქმე არ ჰქონდათ, ეროვნული დანიშნულების წიგნების გამოცემაზე დაეხარჯათ ფული.

ლევან ჩიქვანაია ბრწყინვალე პუბლიცისტი იყო. მისი სტატიები და წერილები ხშირად იბეჭდებოდა პედაგოგიური და არაპედაგოგიური პრესის ფურცლებზე. ჩვენი განათლების სისტემის ვარიეფორმატორების ახირების გამო, უსახსროდ დარჩენილი, დიდი ისტორიის მქონე გაზეთი „სახალხო განათლება“ დაიხურა. ლევანმა დიდი ძალისხმევა მოანდომა ამ გაზეთის აღდგენას და სიკვდილამდე მისი სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე იყო.

ლევან ჩიქვანაიას პუბლიცისტიკა საგანგებო განხილვას მოითხოვს, რომელიც გაკეთდება, ალბათ, მაგრამ აქ ერთი რამე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ: მისი პიროვნული ხიბლი, რასაც ყველა მისი ნაცნობ-მეგობარი აღიარებდა, საოცარი ტრანსფორმაციით გადაეცემოდა მის პუბლიცისტურ ნაწერებს. ზოგჯერ, თითქოს ბანალურ საკითხებზე ესაუბრებოდა მკითხველს, მაგრამ შუა გზაში ვერავინ მიატოვებდა მას. ჩემი აზრით, ამას მაინც ჰქონდა კონკრეტულ-ობიექტური მიზეზი: ბატონი ლევანი რაზეც წერდა, ზედმიწევნით იცოდა ის. მკითხველი გრძნობდა ამას და კონკრეტული არგუმენტებიც რომ არ მოეხმო ნათქვამის დასამტკიცებლად, მისდამი მკითხველის ნდობა არ შეირყეოდა. ამას თუ დავუმატებთ მის პრინციპულობასაც, ვფიქრობ, **ლევან ჩიქვანაიას** პუბლიცისტიკისადმი მკითხველის ინტერესი გასაგები გახდება.

ერთ მაგალითს გავიხსენებ მისი პრინციპულობის საილუსტრაციოდ: საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბატონი ლევანის ნამოწაფარი იყო. მას არაერთხელ უხსენებია იგი განათლების მუშაკებთან შეხვედრისას – ჩემი ლეგენდალური დირექტორი ლევან ჩიქვანაიაო, – ასე ახსენებდა ხოლმე. ეს ლეგენდალური დირექტორი სისტემატურად ბეჭდავდა პრეზიდენტის ეროვნულ-დამანგრეველი პოლიტიკის მამხილებელ წერილებს ქართულ პრესაში. მეგობრები ურჩევდნენ, ნუ აკეთებ ამას, გამოიყენე მისი შენდამი კეთილგანწყობა და იქნებ რაიმე სასიკეთო გააკეთებინო პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისთვისო. არაო, – პასუხობდა, – მისი პოლიტიკის მიზანი ქართული განათლების სისტემის განადგურებაა და მე წითელი კოჭი როგორ უნდა გავუგოროო. აი, სწორედ ისე, როგორც ვაჟა-ფშაველა იტყოდა: ბილწთ არ შევეკვრი ზავითაო. ასეთი იყო ბოლომდე!

ბოლო წლებში მან გამოსცა ერთობ საინტერესო პუბლიცისტურ-პედაგოგიური წერილების კრებული „ნიჭის აპოლოგია“, სადაც ნათლად გამოჩნდა მისი, როგორც პედაგოგის, მოსწავლეებთან ურთიერთობის მთელი არსენალი. იგი ყველა აღსაზრდელში ეძებდა ნიჭიერებას და პოულობდა კიდეც, მერე კი ამ ნიჭიერებას თვალისჩინივით უფრთხილდებოდა და ავითარებდა. სრულიად დაუფარავად ამჟღავნებდა, როგორ უყვარდა ნიჭიერი ადამიანები. თავის მოსწავლეთა მხრიდან ამგვარი სიყვარულის ობიექტების ნაკლებობას არ განიცდიდა. ბევრი მისი ნამოწაფარი გამოჩენილი მოღვაწე გახდა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და ისინი მუდამ დიდი სიყვარულით ახსენებენ მის სახელს, რადგან იციან, რომ **ლევან ჩიქვანაია**, თვითონ უაღრესად ნიჭიერი და მომხიბლავი კაცი, ნამდვილად იყო ნიჭიერების აპოლოგეტი.

ზურაბ ცუცქირიძე

ნიჭიერების აპოლოგეტი

(ლევან ჩიქვანაიას პორტრეტის შტრიხები)

სტუმრად კოჯრის საჯარო სკოლაში

წიგნიერება და აღზრდა სკოლის უმთავრესი ამოცანაა

თბილისის შემოგარენის საკურორტო ზონაში განთავსებული საჯარო სკოლებიდან წარმატებული მაჩვენებლებით გამოირჩევა 214-ე საჯარო სკოლა. ზაფხულში ვესტუმრეთ აღნიშნულ სკოლას. კოჯრის დასვენების პარკის შემაღლებაზე პაპანაქება სიცხეში მოულოდნელად ვესტუმრეთ. საშვებულებო პერიოდში სამუშაო პროცესში ჩართულნი იყვნენ სკოლის დირექტორი **ნინო წიკლაური** და მისი მოადგილე **ხათუნა მამაცაშვილი.**

ჩვენი გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ კი ჩვენი თხოვნით სკოლის საქმიანობის საკითხებზე სასაუბროდ გვეწვია ქალბატონი ნინო (იგი ადრე მუშაობდა რუსთავის 22-ე საჯარო სკოლის ქართული ენა-ლიტერატურის პედაგოგად, ხოლო შემდეგ ამავე სკოლის დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობითი მუშაობის დარგში).

ჩვენთან საუბარში მან გამოთქვა რამდენიმე სურვილი და მოსაზრება საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ.

დასახვეწია სადღეისოდ გამოცემული სახელმძღვანელოები. მისი ერთი ნაწილი, სამწუხაროდ, არ არის სასწავლო გეგმებთან შესაბამისობაში. ადრე ქართული ენის გრამატიკა ისწავლებოდა ცალკე საგნად. უნდა გაიზარდოს საათობრივი ბადე საბაზო სკოლის საფეხურებზე. აუცილებელია, აღდგეს სკოლის დირექტორის მოადგილის (აღმზრდელობითი მუშაობის დარგში) საშტატო ერთეული; ისე როგორც არასდროს, სკოლას ესაჭიროება ფსიქოლოგი.

რაც შეეხება ჩვენს საქმიანობას, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ, ამაზე შედეგები მეტყველებენ. წლების მანძილზე ჩვენი მოსწავლეები წარმატებულად ამთავრებენ სკოლას და ასევე წარმატებით აბარებენ გამოცდებს უმაღლეს სასწავლებლებში. ჩვენ ბევრნი გვყავს ისეთი კურსდამთავრებულები, რომლებმაც უმაღლეს სასწავლებელში მიიღეს 50%, 70%-იანი გრანტები.

სკოლა მუდმივად ზრუნავს მოსწავლეთა წიგნიერებაზე, იგი ყოველმხრივ ცდილობს მოსწავლეებს შეაყვაროს წიგნის კითხვა. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები და სკოლის ბიბლიოთეკარი ერთობლივი მონდომებით ზრუნავენ, რომ მოსწავლეს ჰქონდეს საგნისადმი ინტერესი და სიყვარული.

ჩვენი სკოლა აქტიურად არის ჩართული ქალაქის და საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებში, ოლიმპიადებში. ორი წელია ვმონაწილეობთ ინტელექტუალურ თამაშში რა? სად? როდის.

2013-2014 წლებში თბილისის რვა სკოლას შორის ლიდერად ითვლებიან ჩვენი სკოლის ინტელექტუალი მოსწავლეები.

სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის მაღალი დონის შედეგია, რომ ჩვენ ვამაყობთ ჩვენი სკოლის აღზრდილი ადამიანებით. დაგისახელებთ რამდენიმეს. ესენი არიან:

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, კარდიოლოგი **დოდო კაჭახიძე**, ცნობილი მომღერალი **თემურ წიკლაური**, **ვახტანგ ყიფიანი, ლეილა სურმავა, გიული მარლიშვილი, ინგა და მამუკა აბუაშვილები, ნანა რატიანი**, ასევე – ექიმების მთელი პლეადა. **ვლადიმერ კეკელია** – ეროვნული არქივის წამყვანი სპეციალისტია. **გოჩა რატიანი** – შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელია. ცნობილი ისტორიკოსი, პროფესორი **გიორგი კიკნაძე** და სხვები.

დასასრულ, მინდა ვუსურვო რომ საქართველოში პედაგოგები უფრო მეტად იქნენ დაფასებულნი მორალურადაც და ფინანსურადაც. ისინი კი თავის მხრივ, ბუნებრივია, მუდმივად უნდა ზრუნავდნენ პროფესიულ განვითარებაზე. მათი ვალია, მუდამ იყვნენ ნოვატორები სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის სფეროში.

საუბარს წარმართავდა
რომან მოსეშვილი

სწავლა-აღზრდის სამსახურში

ცნობილია, რომ ახალგაზრდული პერიოდიდან „ვერისუბნის სკოლა-ლიცეუმის“ დირექტორი **ინეზა იამანიძე** გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის სამსახურში თავდადებით. იგი არის ინტელიგენტობის განსახიერება, პრინციპული, სამართლიანი და კარგი მეოჯახე პედაგოგი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ჩვენს კორესპონდენტს მან ვრცლად მოუთხრო ამ სასწავლებელში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის აქტუალურ საკითხებზე.

მუშაობა დავიწყე მათემატიკის მასწავლებლად. რამდენიმე წლის შემდეგ სამუშაოდ გადავედი თბილისის 51-ე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორის მოადგილედ, ხოლო 1986 წლიდან მუშაობა განვაგრძე ამავე სკოლის დირექტორად.

ვიცოდი რომ რაციონალურად დაგეგმილი ცვლილებების გარეშე მაღალი ხარისხის განათლება არ მიიღწევა. განათლების სისტემების გაცნობა-გაანალიზების შედეგად შევადგინე საავტორო მოდელის პროექტი და შევუდექი მის რეალიზებას. მონიტორინგი მოწმობდა იმას, რომ სკოლაში აკადემიური მოსწრება შესამჩნევად გაიზარდა. შედეგი განაპირობა მოსწავლეებთან ინდივიდუალური სასწავლო პროგრამებით მუშაობამ, რაც საფუძველი გახდა მათი პიროვნული პოტენციალის მაქსიმუმის ამოქმედებისა.

წარმატების მიღწევა განათლებაში სრულიად დამოკიდებულია სასწავლო გეგმაზე, მასში სასწავლო დისციპლინების სწორად შერჩევასა და საათობრივი რაოდენობრიობის განსაზღვრაზე. ტრადიციული სკოლის გარდაქმნა დროის მოთხოვნაა. შესაბამისად, როგორც ჰომეროსი გვმოძღვრავს „ჭეშმარიტად დიდია ადამიანი, რომელმაც შეძლო თავის დროის დაპატრონება“.

დღეს ჩვენს პედაგოგებს აღზრდის კონცეფცია არა აქვთ და შესაქმნელია. ისმის კითხვა: რას ნიშნავს აღზრდა ქვეყნის დემოკრატიული მშენებლობის პროცესში? საქმე ეხება ახალ ღირებულებებს. აღზრდა თავიდანვე ეროვნულ საწყისებზე უნდა განხორციელდეს. არსებობს კითხვებიც, რომლებსაც პასუხები დროულად უნდა გაეცეს. სრულიად უნდა განისაზღვროს – აღზრდის პრიორიტეტები.

აღზრდის პირველი რგოლი ოჯახია, მაგრამ დღეს მისი ავტონომიურობა და ტრადიციები დაარღვია გარემოში მიმდინარე პროცესებმა, რომლებიც მხოლოდ ხელისშემშლელნი აღმოჩნდნენ აღსაზრდელის ზნეობრივი და ეროვნული ღირებულების ჩამოყალიბების პროცესში – სათამაშო ტოტალიზატორები, სტრიპტიზბარები, კაზინოები და ა. შ.

ნაკლებად ჩანს რაიმე თანხმობა ოჯახსა და სკოლას შორის, ღირებულებათა რა სისტემა ვაღიაროთ მომავალი თაობის ზნეობრივ ორიენტირად.

მარტივი გამოსავალი იქნება, თუ ვიტყვით,რომ ქვეყანაში აღზრდის კონცეფცია არ არსებობს და ამიტომ სკოლას მინიმალური როლი ენიჭება მოზარდის ღირებულებათა სისტემის შექმნაში. ამ შემთხვევაში იგი ფუნქციააყრილ ინსტიტუტად რჩება სისტემაში, ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიცაა აღზრდა. სიტუაცია პრობლემურია: არ არსებობს ღირებულებებსა და მათ დეფინიციაზე კამათი საზოგადოებაში. მომავალი თაობის ზნეობრივი ორიენტირი საზოგადოებისა და სხვათა ინტერესების დაცვაა.

მიმაჩნია, რომ აუცილებელია საზოგადოებამ მონაწილეობა მიიღოს განათლების მიმდინარე საკითხების გადაწყვეტაში. თუ ყველა ერთად – სკოლა, სკოლისგარეშე დაწესებულებები, ფსიქოლოგიური სამსახურები ერთიანი ძალისხმევით ვერ განაპირობებენ მათი აღსაზრდელების, შეხედულებების ტრადიციულ საფუძვლებზე აგებას. მიზანი მიუღწეველი დარჩება.

შექმნილ ვითარებაში სწავლა-წავლების საკითხების სწორად და გააზრებულად წარმართვა ვერ ხერხდება. არახელსაყრელი პირობები ხელს უშლის არა მხოლოდ საჯარო სკოლების განვითარებას, არამედ თავის გავლენის ქვეშ

კერძო სკოლის სიკეთე

აქცევს კერძო სკოლებსაც.

დღეს ჩვენ როგორც სისტემა, ვერ უზრუნველვყოფთ მათ სწავლებასა და აღზრდას, ანუ შეიძლება სკოლა 21-ე საუკუნის საგანმანათლებლო სივრცის გარეთ აღმოჩნდეს.

გამომდინარე აქედან, ჩვენ ვცდილობთ, ჩვენს სკოლა-ლიცეუმში, ადრეული ასაკიდან აღმოვაჩინოთ მოსწავლეებში და მერე განვავითაროთ ბიზნესის ნიჭი, მსოფლიოში აპრობირებული პროგრამების შესაბამისად. დღევანდელ მსოფლიოში ფუნქციონირებს „школа мылионеров“, რომელთა აღზრდილები ოცი-ოცდაორი წლის ასაკში ხდებიან მილიარდერები! ეს სინამდვილეა! ჩვენც ჩვენს სკოლაში დავიწყეთ ამ პროგრამების შესწავლა, სადაც თეორიულ მასალასთან ერთად ძირითადი – ფინანსური თამაშებია, რაც მოსწავლეებში დიდ ინტერესებს იწვევს.

ჩვენი სურვილია, მივცეთ მოსწავლეებს საწყისი ფინანსური განათლება (განსხვავებით ტრადიციული საჯარო სკოლისაგან), რაც იქნება ერთგვარი ბიძგი ფინანსურად დამოუკიდებელი ცხოვრებისაკენ, და რაც მოსწავლეებს საკუთარი თვალით დაანახებს, ფინანსური და ბიზნეს სისტემების მუშაობას საქართველოში.

ჩვენ ვასწავლით ახალს – რასაც არ ასწავლის არავინ სხვა სასკოლო ასაკში! და რის საშუალებასაც გვაძლევს ჩვენი მოსწავლეების აკადემიური დონე. სკოლა ოცი წლისაა და ამ ხნის განმავლობაში, არ არის არცერთი ჩამორჩენილი მოსწავლეთა შორის, რაც ელექტრონული გამოცდილების შედეგებითაც დასტურდება. შედეგებს ვაღწევთ, იმ მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვით, რასაც სკოლაში პროფესიონალი პროფესორ-მასწავლებლები ახორციელებენ. ჩვენ ვამზადებთ ჩვენს მოსწავლეებს ხვალინდელი დღისათვის, რადგან აუცილებელია ფიქრი ამაზე, რომ ქვეყანას ჰქონდეს უკეთესი მომავალი.

ესაუბრა **რომან მოსეშვილი**

„იზარდე, მწვანე ჯეჯილო!..“

სტუმრად 29-ე ბაგა-ბაღში

თქვენი ბაბუა-ბებიებიც აქ იზრდებოდნენ

ლალი ნოზაძე პაწიასთან

მეტრო „ისანთან“ ეს ნომერი ბაგა-ბაღი ვიკითხე. – „ნოზაძის ბაღს“ ვინ არ იცნობს, გადახვალთ და აქვეაო. ორი ხანდაზმული ქალბატონი დაგვემგზავრა, ჩვენც იქ მივდივართ შვილიშვილების წამოსაყვანადო. გაირკვა, თავადაც, მათი მეუღლეებიც და შვილებიც „ნოზაძის ბაღში“ დადიოდნენ.

შეხვალთ ეზოში და გული გაგიხალისდებათ. დაბურულ ვარდ-ყვავილნარში კრავებივით მოკუნტრუშე ცეროდენების ჟრიამულს რომ შეესწრებით, ინატრებთ: „ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!“ შესასვლელში „ვეფხვი ავად იღრინება“ და დიდი ასოებით წერია: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ ეს როგორ? ბავშვთა ზღაპრულ სამყაროში ხართ, მეგობრებო. იმაზე საუბრით, რომ პაწიების სწავლა-აღზრდისთვის აქ იდეალური პირობებია, თავს არ შეგაწყენთ. მადლობა მერიას, მთავრობას, ბაგა-ბაღის ხელმძღვანელობას, აღმზრდელებს ყოველივე ამისთვის. დიდად მადლიერნი არიან მშობლები. ასევე იმით, რომ დიდი შეღავათი აქვთ – ბაღის ქირას არ იხდიან.

დამსახურებული პედაგოგი, ღვაწლმოსილი დირექტორი **ლალი ნოზაძე** პატარებთან ფუსფუსებდა. 35 წელია ამ ბაგა-ბაღს დედობრივი მზრუნველობით თავს ევლება და დედაქალაქში იგი სანიმუშოდ აქცია, რა თქმა უნდა, თავის თავდადებულ თანამშრომლებთან ერთად. აქ 3 წელი პედაგოგად მუშაობდა, 32 წელი კი – დირექტორია. იცნობდეთ **ლალი ნოზაძე** – ბრწყინვალე მეუღლე, დედა, ბებია. ოთხი სახელოვანი შვილის აღმზრდელი. ოჯახის წევრებიდან 4 გამოჩენილი სპორტსმენია, მათ შორის **რამაზ ნოზაძე** მსოფლიო რანგის მოჭიდავე (ჩემპიონი, პრიზიორი). 11 შვილიშვილით ამაყობს ბებია. რამდენიმე მათგანი ამ ბაგა-ბაღში იზრდება. თავდავიწყებით უყვარს ქალბატონ ლალის პატარები, ჩემს ბავშვობაში მაბრუნებენო, – ხშირად იტყვის. ამ სურათზეც ხედავთ, როგორ გრძნობით ჩახუტებია ერთ-ერთ პაწიას.

აქ ყველგან სისუფთავე, სიმშვიდე, აკურატულობა სუფევს. აქ ყველგან თოჯინები იცინიან. საყოფაცხოვრებო პირობებზე ბევრს არ ვიტყვით, ისედაც ნათელია ყველაფერი. ზამთარი ძუ მგელივით ვერ მოუხტებათ, რადგანაც გაზით ცენტრალური გათბობა მწყობრშია, კვება კი – საუცხოო. ბავშვებისთვის საყვარელ, ყუათიან, არომატულ კერძებს ამზადებენ გემოვნებიანი მზარეულები: **ნანა ლეონიძე, თათუშა ბასილაია, ეთერ კიწმარიშვილი**.

საინტერესო თამაში

ბევრს ზრუნავს პაწიების ჯანმრთელობაზე გამოცდილი ექთანი **ზოია ჭანკვეტაძე**. დირექტორმა ქებით მოიხსენია შრომისმოყვარე მოადგილე **გულნაზ შიუკაშვილი**, რომელიც ორგანიზატორული ნიჭით გამოირჩევა. ივნისში საოცარი გამოსაშვები ზეიმი ჩატარდა. აღმზრდელ-პედაგოგებმა: **ნანა მინაშვილმა, ლია ზაალიშვილმა, ქრისტინე მანუკიანმა** (რუსული ჯგუფები) **ნუნუ ხუჭუამ** 125 კარგად მომზადებული მერცხალა გოგო-ბიჭი ააფრინეს ბაღის ბუდიდან და სკოლისკენ გზა დაულოცეს.

იფ, რა გემრიელია!

დაუვიწყარი ზეიმის სულისჩამდგმელები აღმზრდელებთან ერთად იყვნენ მუსიკის ჩინებული პედაგოგები: ორი მაია, **მირიანაშვილი და ბასოშვილი**. ისინი ბევრს ზრუნავენ ბავშვებში მუსიკალური ხელოვნების სიყვარულის აღსაზრდელად. ბაღში ბევრი ნიჭიერი, პერსპექტიული მომღერალი, დეკლამატორი, მხატვარი ყალიბდება.

მეცადინეობა აპლიკაციაში

ამ საუბარში რომ ვიყავით, კაბინეტში 87-ე სკოლის პირველკლასელის დედა **ნინო ლეონიძე** ამ ბაღდამთავრებულ შვილთან **ელენე ლეონიძესთან** ერთად შემოვიდა. სკოლის პედაგოგს მადლობა შემოუთვლია ბაღის დირექტორისთვის ასეთი ყოველმხრივ ნიჭიერი, ყოჩაღი ბავშვის აღზრდისათვის.

სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას შემოქმედებად უძღვება ღვაწლმოსილი (20 წელია აქ მუშაობს) მეთოდისტი (ახალი ტერმინით კოორდინატორი) **ნანა ღონიაშვილი**.

მეტად სასარგებლო და ნაყოფიერია 16 წლის სტაჟის მქონე ფსიქოლოგის **ნატო ხარებავას** საქმიანობა. იგივე უნდა ითქვას ლოგოპედ **მაია შიხიაშვილზე**, რომელიც ბევრს ზრუნავს პატარების სწორმეტყველების უნარ-ჩვევების აღზრდაზე.

აი, დაუზარელი პროფესიონალი, გამოცდილი (ოცი წლის სტაჟით) საქმის მწარმოებელი, ბაგა-ბაღის ხერხემალი (დირექტორის სიტყვებია) **მარიკა ჩხაიძე**, რომელიც მუდამ კეთილსინდისიერად აკეთებს თავის საქმეს. მადლობა მას. დაგელოცოთ მარჯვენა აღმზრდელ-პედაგოგებო, განსაკუთრებით ბაგის თანამშრომლებო! მე ხომ ვიცი, რომ რა ძნელია პაწიების მოვლა: მათ ხომ ჯერ ელემენტალური უნარ-ჩვევაც არა აქვთ. სიარულის, მეტყველების, ჭამის, ჩაცმისა, კოვზის სწორად დაკავებაც არ იციან.

როგორც ზემოთ გაკვრით ვთქვი მშობლები ძალიან კმაყოფილი და გახარებულნი არიან ბაგა-ბაღის კეთილმომსახურებით. ამიტომ მოილტვიან და მოუხარიათ აქეთკენ ცეროდენებს. „სიყვარული – სიყვარულის წილ!“ – ასეთია მშობლების გულისთქმა და ისინიც, უღალატოდ მხარში უდგანან ბაგა-ბაღს. არსებობს მშობელთა სათათბირო, რომლის თავმჯდომარეა **მაკა მემარნიშვილი.**

შექმნილ პრობლემებზე ხომ არ შეგიძლიათ რამე თქვათ? – ვეკითხები დირექტორს.

ბევრი არაფერი, მხოლოდ ის მაწუხებს, რომ ბაგა-ბაღი ვერ აუდის საზოგადოების მოთხოვნებს. ფართის სიმცირის გამო გული მწყდება, როცა იძულებული ვარ მშობელს უარი ვუთხრა ბავშვის მიღებაზე. აი, აგერ 80 ბავშვი რეზერვში მყავს. ვცდილობთ, რამე საშუალება გამოვნახოთ.

კიდევ რამე ზე გწყდებათ გული?

იმაზე, რომ, როცა არჩევნებში ნაციონალებთან არ ვითანამშრომლე (ხომ იცით სკოლებს და ბაგა-ბაღებს როგორ იყენებდნენ თავიანთი მიზნებისთვის) გიგი უგულავამ შარი მომდო და გამათავისუფლა. დიდხანს უმუშევარი ვიყავი. ახალი მთავრობის ახალი სასამართლოს განაჩენით სამართალმა პური ჭამა და აღმადგინეს. დიდი მადლობა მათ, ასევე – ჩემს კოლექტივს, რომელიც იმ უმძიმეს პერიოდში მხარში ამომიდგა.

მეტად გამორჩეულ, დამსახურებულ თანამშრომლებს ვერ დამისახელებთ?

უხერხულობაში მაგდებთ. აქ ყველა დამსახურებულია. არ მოვეშვი და მაინც გამოვტყუე: **გულიკო ჩხაიძის, ნინო ხუჭუას, ნინო ბუჯიაშვილის, მარინე ლაზარიაშვილის, ნათია ფურცელაძის** გვარ-სახელები. სხვებზე შემდეგში ვისაუბრებთ.

აი, როგორი ბავშვთა სამყარო გაგაცანით, მკითხველო. გამარჯვებებს და ბედნიერებას გისურვებთ, 29-ე ბაგა-ბაღელებო!

ბორის ხარებავა

ზეიმია — კარნავალი

თქვენს ბედნიერ ბავშვობას გაუმარჯოს!

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ ოქროსფერ ფონზე გამორჩეულად ლამაზია მწვანეში ჩაფლული თბილისის მე-10 ბაგა-ბაღის შენობა, საიდანაც პატარების ჟრიამული ახარებს გარემოს. ბაღის ადმინისტრაციის და ქალაქის მერიის მხარდაჭერით ბავშვებისთვის ბევრი რამ გაკეთდა. ეზოში დამონტაჟებულია სხვადასხვა სათამაშოები, საქანელები, მატარებლები, გემი, ლამაზად გაკეთებული ქვიშის საფარები. აქვთ სპორტული ლეიბები, სხვა ინვენტარი, რაც ხელს უწყობს ბავშვებში ფიზიკურ, გონებრივ, სპორტულ აღზრდას.

ეს კი სიახლე იყო ახალი სასწავლო წლისთვის ამ ბაგა-ბაღში. შენობა დამშვენებულია ცეროდენებისთვის საინტერესო კუთხეებით, ბავშვთა ოთახებით.

ლამაზად მორთული ინტერიერით.

ბაღში დადის 230 აღსაზრდელი, რომლებიც დაყოფილები არიან 5 სასწავლო-ასაკობრივ ჯგუფებად. ბაგაში კი ფუნქციონირებს 1 ჯგუფი 27 აღსაზრდელით. წინა სასწავლო წლის დასასრულისთვის

სასკოლოდ დაფრთიანებული იყო 40 პირველკლასელი, რომლებსაც მთელი ცხოვრება ალბათ არ დაავიწყდებათ პირველი ნაბიჯები, პირველი სითბო და სიყვარული, რომელიც ამ ბაღში მიიღეს.

წელს ბაღი სკოლისკენ გზას დაულოცავს 45 აღსაზრდელს.

აქ ტრადიციულად ყოველწლიურად ეწყობა საზეიმო ღონისძიებები, როგორც აღსაზრდელის გაცილების, ასევე მიღების გულისამაჩუყებელი მომენტებით.

წლევანდელი გამოსაშვები ჯგუფის გაცილებაში, მათ აღზრდა-განათლებაში დიდი შრომა ჩადო პედაგოგმა **ნინო გოდერძიშვილმა** და მისმა თანაშემწემ მანანა აბრამიძემ. გულის სითბო ხვდება დედის კალთებს ჩახუტებულ თვალცრემლიან პაწიებს. აღმზრდელები ხომ დედის მაგივრობას უწევენ მათ. ამ ბავშვთა სამყაროს მასპინძელი და დიასახლისი მთელ კოლექტივთან ერთად გახლავთ ღვაწლმოსილი დირექტორი **ირმა გიორგაძე**.

თვალებზე ეტყობოდა ამ მშვენიერ ქალბატონს, რომ თითოეული მისი თანამშრომელი, თითოეული ცეროდენა მისი დიდი საფიქრალი და განცდის საგანია. ბაგა-ბაღში ყველაფერს ეტყობა დირექტორის გულისხმიერება და ხელწერა: ეზოს, შენობას, კუთხე-კუნჭულს.

ირმა გიორგაძეს დამთავრებული აქვს თბილისის 149-ე საშუალო სკოლა, შემდეგ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აქვს მიღებული მუსიკალური განათლება. მუშაობდა პედაგოგად 173-ე სკოლაში.

2008 წლის შემდეგ ამ საბავშვო ბაღის ცეროდენების კეთილდღეობაშია ჩართული. მისი ხელმძღვანელობით ბაღს ბევრი ლამაზი და საინტერესო დღეები ჰქონია. თუმცა მარტო ის თავისი სითბოთი და სიყვარულით ვერაფერს გახდებოდა, თუ არა ბაღის კოლექტივის თავდადება. ყოველი მუშაკი კეთილსინდისიერად ემსახურება პატარების აღზრდის სასიამოვნო, თუმცა არცთუ ისე ადვილ საქმეს.

დიდი წვლილი მიუძღვის საერთო საქმეში მის მოადგილეს **ანა ცინცაძეს**. თვალები სიყვარულით უციმციმებდა, როცა პატარებზე საუბრობდა.

უმთავრესი და უშუალო ურთიერთობა მიანც აღმზრდელებს აქვთ პატარებთან. უფროსი ჯგუფის აღმზრდელები და მათი თანაშემწეები: **თამარ ელკანიშვილი, ნანა ბარამაშვილი, ნანა ხარაზიშვილი, თათია კალანდაძე, მანანა მამაცაშვილი, ირმა სოფრომაძე, ნანა ბიჭიაშვილი, ნონა ჩალათაშვილი, ნანი ლაბაძე, ლია ნამგალაური, ნინო ლაბაძე** თავს არ ზოგავენ, მაგრამ ყველაზე სათუთი დამოკიდებულება პაწიების მიმართ მართებთ ბაგის მასწავლებლებს: **ნინო გოდერძიშვილს** და

მანანა აბრამიძეს.

მეთოდისტი **თამუნა ანთიძე** ღირსეულად უძღვება ყველა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, აქტიურადაა ჩართული ღონისძიებათა შერჩევა-დაგეგმვაში, ბაღის ცხოვრებას მხიარულს ხდის მუსიკის მასწავლებელი **თეა ნინიძე**, რომელიც აღსაზრდელებს ამზადებს საზეიმო ღონისძიებებისთვის.

მანანა მამალაძე ცეკვის ხელოვნებას უნარიანად აუფლებს პატარებს. ბავშვები მუდამ დაკავებული არიან ჯანსაღი ცხოვრების წესით.

ნიჭიერი ბავშვები დავასახელოთ? მოდი, დავასახელოთ: **ბარბარე** და **ნიკოლოზ ფანჩულიძეები, ნია წურწუმია, მოცეკვავეები – ლუკა გამთენაძე, ლუკა ქემოკოძე, ნიკოლოზ გოგოლაძე, სალომე ანთიძე, ნიკოლოზ ჭალიაშვილი, ინა ავაქიანი, კესო გომიაშვილი. სიმღერასა და ცეკვაში აქტიურობენ: მართა ზამთაშვილი, ლილე ყურაშვილი, ლუკა სებისკვერაზე. ბაგაში ცეკვით თავს იწონებს პაწია ელენე ამირანაშვილი. ლექსებს მსახიობივით კითხულობს ანდრია მახარაძე**. ბაღში გამოფენილია ნორჩი მხატვრების ნამუშევრები.

სალამი, მე-19 ბაგა-ბაღელებო!

შესვლისთანავე იგრძნობა სისუფთავე, ბავშვები იკვებებიან ჯანსაღი და კალორიული პროდუქტებით. ბაღთან მჭიდროდ და აქტიურად თანამშრომლობენ მშობლები.

ყველა ერთობლივი ძალისხმევით ცდილობს პატარებში აღმოაჩინოს ნიჭი, უნარი, განავითაროს იგი გარკვეული მიმართულებით.

მე-9 ბაგა-ბაღის ყველა თანამშრომელი ქებას და უღრმეს მადლობას იმსახურებს მშობლებისა და დირექტორისაგან.

ნანა ფიფია

ფიზიკულტურის ანბანი

ახალი რუბრიკა

ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲐᲥᲕᲡ ასეთი რუბრიკა „ფიზიკულტურის ანბანი“, რომლის მიზანია სკოლაში თუ სკოლამდელ დაწესებულებებში მოზარდის ფიზიკური აღზრდა, მისი სულიერი და ზნეობრივი გაკაჟება. ამ მიზნით გამოვაქვეყნებთ შესაძლებლობის ფარგლებში სპეციალისტების, სკოლის სპორტის პედაგოგების რჩევებს. ავსახავთ სკოლაში სპორტის გაკვეთილებზე თუ სხვა ღონისძიებებზე მიღწეულ შედეგებს. დავბეჭდავთ სპორტის მოწინავე პედაგოგთა წერილებს.

ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲜᲣᲚᲘ ასაკი ბავშვთა სპორტისთვის, მოგეხსენებათ, 5-6 წელი გახლავთ. ზედმიწევნით სავალდებულოა დილის გამამხნევებელი ვარჯიშები, როგორც ვაჟებში ისე გოგონებში, მაგრამ ზოგადად არ უნდა დაგვავიწყდეს გენეტიკური ფაქტორი. შესაბამისად, აუცილებელად ერთი კონსულტაცია საჭიროა ექიმთან, ნებართვის სახით – უფლება ვარჯიშის მოპოვების შესახებ.

ეს ულამაზესი ასაკი 5-6 წელი ვარჯიშისთვის ნიშნავს საკუთარი სხეულის, სულის, ხასიათის, ნებისყოფის და თავდაცვის უფლებას. მხოლოდ ამ ასაკში ბავშვები ღრუბელივით ისრუტავენ თვალსაჩინო უნარ-ჩვევებს, სპორტულ ილეთებს თამაშ-თამაშით, ხალისით, რომელიც შემდეგ ჩვევაში და ხასიათში გადაეზრდებათ.

მშობლებო და ბავშვებო, გისურვებთ წარმატებას მომავალ ვარჯიშამდე.

მეთოდისტი
თეთი გოგოჭური

პროფესიულ განათლებას – ახალი სიცოცხლე!

გაზეთის სტუმარია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისის“ დირექტორი ნონა ღუდუშაური.

ქალბატონო *ნონა, რას გვეტყვით „მერმისის“ საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი პროფესიული კოლეჯის შესახებ. მოკლედ მოგვახსენეთ მისი წარსულის შესახებ – დღევანდელობამდე.*

როგორ თქვენ ბრძანეთ, საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“ დღეისათვის ერთ-ერთი წამყვანი კოლეჯია მოქმედ სახელმწიფო კოლეჯებს შორის. კოლეჯს დიდი ხნის ისტორია აქვს, ის არის სხვადასხვა დროს რეორგანიზებული და ლიკვიდირებული 45 პროფესიული სასწავლებლის სამართალმემკვიდრე. კოლეჯი გამოირჩევა სწავლების მაღალი ხარისხითა და სანიმუშო დისციპლინით.

რომელ ძირითად სპეციალისტებს უმზადებს იგი ქვეყანას?

კოლეჯი „მერმისი“ სტუდენტებს ამზადებს 5 ძირითადი მიმართულებით. ესენია: აგრარული, ბიზნესის ადმინისტრირების, ხელოვნების, ინჟინერიის და მიმართულებათაშორისო დარგები ან სპეციალობები.

რას იტყვით სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ?

კოლეჯი მდებარეობს თბილისში, გურამიშვილის გამზირი 72/ბ. „მერმისმა“ 2012 წლის 2 ოქტომბერს ფუნქციონირება დაიწყო ევროპული სტანდარტებით აშენებულ ახალ შენობაში, სადაც არის ყველა პირობა იმისათვის, რომ მოამზადოს კვალიფიციური კადრები და შეავსოს შრომის ბაზარი კვალიფიციური სპეციალისტებით. კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ხელსაწყო-დანადგარებითა და სახარჯი მასალებით. კოლეჯის სასწავლო კორპუსი მოიცავს 9 სალექციო აუდიტორიას, 18 სასწავლო სახელოსნოს (პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსის სასწავლო სახელოსნო განთავსებულია რობაქიძის გამზ. 7/ა-ში), 34 პროგრამას შესაბამისი ინფრასტრუქტურით. შენობაში არის სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი თანამედროვე ინვენტარი და ტექნიკური საშუალებები, რომლის განახლებაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერითა და თანადგომით სისტემატიურად ხდება. ყველა ოთახი ჩართულია ინტერნეტ ქსელში, მათ შორის სამასწავლებლო, საკონფერენციო დარბაზი და ბიბლიოთეკა. კოლეჯში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი მოთხოვნები და ჰიგიენის ნორმები. სასწავლო კორპუსი და მისი გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეო-სათვალთვალო სისტემით.

როგორც ცნობილია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მთავარი პრობლემაა სრულფასოვანი განათლების მიღება და დასაქმება, რაც გულისხმობს მათ საზოგადოებაში შემდგომ ადაპტაციას, მათი შრომის უნარების ჩამოყალიბებასა და გამოყენებას, როგორც საზოგადოებისათვის ასევე, საკუთარი ცხოვრების უკეთესად მოსაწყობად. ამ კუთხით ხელმძღვანელობისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია კოლეჯში ინკლუზიური განათლების დანერგვა და განვითარება. ამ მხრივ, კოლეჯში გარემო ადაპტირებულია და ყველა პირობაა შექმნილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სწავლისა და გადაადგილებისათვის (პანდუსი, ლიფტი, სველი წერტილები).

რა შეიძლება ითქვას პედაგოგიური კოლექტივის შემადგენლობაზე? (დაასახელეთ რამოდენიმე გამორჩეული პედაგოგი).

კოლეჯი დაკომპლექტებულია მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციური ადმინისტრაციული და აკადემიური კადრებით. პედაგოგები აქტიურად იღებენ მონაწილეობას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებზე. ყოველივე ეს მათ საშუალებას აძლევს დანერგონ მიმდინარე სიახლეები სწავლების პროცესში.

გამორჩეული პედაგოგები არიან: საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“-ს პედაგოგი – **ლია მიქალთაძე;** საგანმანათლებლო პროგრამა „დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი“-ს პედაგოგი – **ანა სააკაძე**; საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრიკოსი“ს პედაგოგი – **ზაზა ადამაშვილი**; საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგი“-ს პედაგოგი – **ლია მკერვალიშვილი**; საგანმანათლებლო პროგრამა „ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი)“ პედაგოგი – **ნანა თვალთვაძე**.

რა კავშირი აქვს სასწავლებელს დამსაქმებელთან?

სასწავლებელს მჭიდრო კავშირი აქვს დამსაქმებელთან. ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები და ხელშეკრულებები კოლეჯს გაფორმებული აქვს 82 კომპანიასთან, მათ შორის ისეთ მსხვილ კომპანიებთან, როგორიცაა: სს „საქართველოს ბანკი“, სს „ლიბერთი ბანკი“, შპს „თეგეთა მოროტსი“, შპს „მათე მოტორსი“, შპს „თეთრი სახლი“, შპს „ბაბილო“, შპს „ძველი სახლი“, შპს „თოლია“, შპს „ნიკორა ტრეიდი“, შპს „ნატახტარი“, შპს „მარშე“ ნეოტეკი“, შპს „ახალი ქსელები“, შპს „მაცნე“, შპს „სეზანი“ და სხვ. სხვადასხვა სახის კომპანიებში (სამკერვალო საწარმოები, სამშენებლო ობიექტები, ლაბორატორიები, სუპერმარკეტები, ბანკები, სკოლები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, კავშირგაბმულობის, სალონები, ავტოტექმომსახურების ობიექტები, სტამბები) „მერმისის“ სტუდენტები გადიან საწარმოო პრაქტიკას. 2013-2014 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთაგან 120 ადამიანი დასაქმდა საწარმოო პრაქტიკის დასრულებისთანავე.

როგორ შეხვდა „მერმისი“ ახალ სასწავლო წელს? რა სიახლეებით გამოირჩევა იგი დღეს?

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური რესურსების განვითარების, პროგრამების განახლებით და სხვა საჭირო კრიტერიუმების დაკმაყოფილებით ახალ 2014-2015 სასწავლო წლისათვის კოლეჯმა გაიარა ავტორიზაცია და მოიპოვა საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი. განსახორციელებელ პროგრამებს დაემატა მეოთხე საფეხურის ოფისის მენეჯერის, ბუღალტრის, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის და ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამები. კოლეჯში გაუმჯობესდა სასწავლო გარემო, აღიჭურვა უახლესი სასწავლო დანადგარებით და კომპიუტერული ტექნიკით. კოლეჯი ენთუზიაზმით ჩაება მოდულურ სწავლების დანერგვაში. კერძოდ, ჩვენს კოლეჯში 2014-2015 სასწავლო წელს ცხრა მოდულური პროგრამის პილოტირება იგეგმება.

რა კონკრეტული წინადადებები გაქვთ უშუალოდ თქვენ, თქვენს კოლექტივს პროფესიული განათლების კიდევ უფრო გაუმჯობესების თვალსაზრისით? თუნდაც ცოდნის ხარისხის გაუმჯობესების, სტუდენტთა შორის აღმზრდელობითი საქმიანობის კუთხით?

სტუმრად „მერმისელებთან“

კოლეჯი მუდმივად ზრუნავს ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე, სტუდენტთა უსაფრთხოების დაცვასა და სწავლების ხარისხის ამაღლებაზე; პერიოდულად ატარებს გამოკითხვებს სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, პოტენციურ დამსაქმებლებსა და თანამშრომელთა შორის, რათა განხორციელდეს მათი აზრებისა და შეხედულებების გაზიარება. აწყობს სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენებს, საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რიგ კარის დღეებსა და ექსკურსიებს. ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდის მიზნით იმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები სტუდენტებს შორის. ყველა პროფესიაზე ისწავლება საგანი „საქმიან ურთიერთობათა კულტურა“, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული ეთიკის, საქმიანი ეტიკეტის, ზეპირი და წერილობითი პროფესიული და ეფექტური ინტერპერსონალური კომუნიკაციის საკითხების სწავლებას.

ესაუბრა **რომან მოსეშვილი**

ამირან ლომაძის მოსაგონარი



ამ საწუთროდან იმ სამკვიდროში გადავიდა საამსოფლო საზრუნავით დამაშვრალი კაცი, ცნობილი სწავლული პედაგოგი, პედაგოგიკის დოქტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემიის აკადემიკოსი **ამირან ლომაძე.**

განსვენებულმა ხანგრძლივი და შინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო. გარჯითა და შრომისმოყვარეობით გამორჩეულმა, თავისი ქვეყნის ყველა ავი და კარგი საკუთარ ზურგსა და გულზე გადაიტარა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, პირტიტველა ბიჭმა ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა იმ მრისხანე ომში და თოფი არ გაუგდია ხელიდან დიდი გამარჯვების დღემდე. ომიდან დაბრუნების შემდეგ, ნიჭიერი ახალგაზრდის წინაშე ფართოდ გაიღო უმაღლესი სასწავლებლის კარი და მეცნიერების ჰორიზონტები. მას შემდეგ იგი მუხლჩაუხრელად, დიდი რუდუნებით ემსახურებოდა არჩეულ ცხოვრებისეულ გზას, არასოდეს უღალატია მისთვის, არასოდეს გადაუხვევია იმ გეზიდან, რომელიც მას ჭეშმარიტებისაკენ მიმართული ეგონა.

ამირან ლომაძე კარგა ხანს მუშაობდა ქართული ენციკლოპედიის რედაქციაში და თავისი წვლილი შეჰქონდა ამ დიდი ეროვნული საუნჯის შექმნაში. სწორედ ენციკლოპედიაში მუშაობისას ჩამოუყალიბდა მას სკრუპულოზური კვლევისა და განსჯის ის უნარი, რაც მუდამ გამოარჩევდა მას. შემდეგ იგი გადმოჰყავთ საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში პედაგოგიკის განყოფილების ხელმძღვანელად, სადაც მან არსებითი კვალი დააჩნია პედაგოგიკური პრობლემების ხედვისა და კვლევის მიმართულებებს. თვით მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო ფართო და მრავალფეროვანი იყო. იგი იკვლევდა როგორც თანამედროვე, ისე ახლო თუ შორეული წარსულის საგანმანათლებლო პრაქტიკასა და თეორიას.

ამირან ლომაძეს საგულისხმო უნარი ჰქონდა იმისა, რომ თვით სულაც უმნიშვნელო ისტორიული ფაქტები აღზრდა-განათლების პრობლემებთან დაეკავშირებინა და ხშირად ერთობ საინტერესო დასკვნებსაც აკეთებდა.

ამირან ლომაძე გულმხურვალე პატრიოტი იყო თავისი ქვეყნისა, უზადო ერთგული მისი აწმყოსა და წარსულისა. ამიტომ იყო, რომ მუდამ მტკივნეულად განიცდიდა ჩვენი სამშობლოს ისტორიის დამცრობისა და შეურაცხყოფის ნებისმიერ მცდელობას. სწორედ ამიტომ იყო, რომ ბოლო წლებში აქტიურად იკვლევდა კოლხეთის მეფის ასულის, მედეას შესახებ ბერძნულ მითოლოგიაში დამკვიდრებულ შეხედულებას მისი ბოროტმოქმედების შესახებ და სავსებით არგუმენტირებულად აბათილებდა ამ მითს.

წავიდა ჩვენგან ქვეყნისა და თავისი ოჯახის წინაშე ვალმოხდილი პიროვნება და ამ ქვეყნად დატოვა შესანიშნავი მემკვიდრეობა თავისი შთამომავლებისა და იმ მეცნიერული მემკვიდრეობის სახით, რომელიც ყველაზე ძვირფასია ადამიანთათვის.

ნათელი დაადგეს მის სულს იმ დიდ სამყოფელში.

იაკობ გოგებაშვილის
სახელობის პედაგოგიკის
სამეცნიერო ინსტიტუტის სახელით:
ზურაბ ცუცქირიძე,
გურამ ხანდამიშვილი,
ზურაბ შაუთიძე,
თამარ გოგოლაშვილი,
მზია გაგნიძე, ზურაბ ქოგალია

საბას შეგონებათა თანხლებით

საყვედურნარევი საუბარი

დიდ სასკოლო ღონისძიებაზე საინტერესო სტატია გამოვაქვეყნეთ. რადგან გაზეთი არავის ჰქონდა გამოწერილი და არც ჯიხურებში იყიდებოდა, პედაგოგებმა გვთხოვეს: შემოგვიტანეთ და შევიძენთო.

ზოგმა იყიდა, ზოგმა – არა.

სწავლა-აღზრდის გამშუქებელი გაზეთი, ჟურნალი პედაგოგს არ უნდა სჭირდებოდეს? – გამოვთქვი მცირე საყვედური.

არ გაძალებთ, მაგრამ მასწავლებელს პედაგოგიური პრესის გაცნობის სურვილი შინაგანად გათავისებული არ უნდა ჰქონდეს? – მხარი ამიბა შემოსწრებულმა დირექტორმა.

არ შევიძენ, რადგანაც იქ ჩემზე არაფერი წერია, – პროტესტი გამოხატა ერთმა პედაგოგმა.

შეგონება: კარგად გვესმის მცირეხელფასიანი პედაგოგის ყოფა, მაგრამ პედაგოგიური პრესისთვის ყოველდღე არა, მაგრამ წელიწადში, თუნდაც ხუთჯერ 80 თეთრის გამეტება არავის არც გააღარიბებს და არც გაამდიდრებს.

პროტესტანტ პედაგოგს კი ხელმოკლეობის არაფერი ეტყობოდა: ახალ მოდაზე ეცვა და მისი გახსნილი ჩანთიდან ძვირადღირებულ პორნოგრაფიულ ჟურნალს ამოეყო თავი, რომლის ყდაზე შიშველი ქალის ფოტო მოჩანდა.

„ერთ ცალსაც არ შევიძენ!“

სკოლაში მამაკაცი. ისიც ახალგაზრდა დირექტორის დანახვა ძალიან გამიხარდა. კაბინეტში იჯდა იგი მძიმედ, ფუყედ. ვთხოვე, ახალი სასწავლო წლის სიახლეებზე აზრი გამოეთქვა. როგორც იქნა დავითანხმე. ყოველ შეკითხვაზე პასუხი ძლივს გამოვგლიჯე. გაზეთიდან საქართველო თუ არა, მთელი თბილისი მაინც გაგიცნობს-მეთქი. რაღაცა „სმენოიც“ კი ვუთხარი, მაგრამ ღიმილი ვერ მოვგვარე. ისეთი პოზა ეჭირა, თითქოს განათლების ბედი მასზე ყოფილიყო დამოკიდებული.

– ეს გაზეთი გამოწერილი გაქვთ?

– არა.

რამდენიმე ცალს ამოგიტანთ, თქვენც და პედაგოგებსაც გამოგადგებათ. განათლების სისტემაში ბევრ სიახლეს გაეცნობით.

მე ერთ ცალსაც არ ავიღებ, მასწავლებელი თუ შეიძენს, მისი საქმეა.

მკითხველო, ხომ არ გენიშნათ ერთი პრეზიდენტყოფილი, ქართულ გაზეთებს საერთოდ არ ვკითხულობო რომ ამბობდა?

შეგონება: სკოლის დირექტორს როგორ არ უნდა აინტერესებდეს, რა ხდება საგანმანათლებლო სივრცეში? და არც მასწავლებლებს ურჩევდეს პედაგოგიური ჟურნალ-გაზეთების გაცნობას?

გაირკვა, ნამანდატურალი დირექტორი ყოფილა.

უწყინარი წკიპურტები

ზემდგომი ორგანოების შიშით

თემაზე ერთ-ერთ სკოლაში შესვლა გამიჭირდა.

ვინ გნებავთ? – მეკითხება დარაჯი. ცოტა მოშორებით ორი მანდატური დგას.

– დირექტორის ნახვა მინდა.

– რა საქმეზე? ვინ ხართ?

– ჟურნალისტი ვარ.

საიდან? რომელი ჟურნალ-გაზეთიდან? თუ ტელევიზიიდან? გამომძიებელივით მომაყარა კითხვები. მანდატურებმა ყურები ცქვიტეს.

გაზეთ „სახალხო განათლებიდან“ გახლავართ.

ჰოო! მაშინ შედით.

დირექტორმა არცთუ ხალისით მიმიღო. სასწავლო წლის სიახლეებზე აზრის გამოთქმა ვთხოვე. – ოო! ახლა ვერ მოგცემთ ინტერვიუს. – შევატყვე, ვიღაცის შიში, – ჯერ ზემდგომ ორგანოებს შევუთანხმდები, მერე გამოიარეთ. კრიტიკულს ხომ არ ვწერ. თქვენ ხომ კონკურსით ახალმოსული დირექტორი ხართ, მინდა თქვენი თავი საზოგადოებას გავაცნო-მეთქი. მაინც თავისაზე დადგა, ვითარცა შუშანიკ.

შეგონება: ეტყობა, ის ძველი აკრძალვები ინერციით კვლავ გრძელდება. ჯერ კიდევ დადის აჩრდილი, აჩრდილი დიმ. შაშკინისა.

„არ მიყვარს საკუთარ თავზე რეკლამა“

დიდი პოეტის პროსპექტზე წლების წინათ დიდი მწერლის სახელობის სკოლას ვეწვიე. აქაც იგივე მიზნით – ახალი სასწავლო წლის სიახლეებზე დირექტორის აზრი მომესმინა. კანცელარიაში დამხვდურთ მივესალმე. ხმა არავინ გამცა. მათ ერთი კაფანდარა ქალბატონი გამოეყო და ფართო ოთახში შევიდა.

ისაა, კრძალვით და ცალი თვალით მანიშნეს, დირექტორი ის არისო. უნებურად ავმა წინათგრძნობამ გამკრა.

შეიძლება? – შემოდი. – რისთვის ხართ მოსული? მიზეზი ავუხსენი, გაზეთი გავშალე და სხვა დირექტორებთან მოკლე ინტერვიუები ვუჩვენე. ზედაც არ დახედა. არც საუბარი გამიბა, არც მომიბოდიშა. „არ მიყვარს საკუთარ თავზე რეკლამაო“ – დამიგდო სიტყვა და შუა ოთახში დამტოვა მამამისის ტოლა კაცი. მკითხველო, თქვენ როგორ იგრძნობდით ჩემს ადგილზე თავს?

შეგონება: სკოლა ოდითგან იყო თავაზიანობის, სიყვარულის, ჰუმანურობის „მობრძანდ-დაბრძანდის“ ასპარეზი. დღეს რატომ დაისადგურა გულგრილობამ? რატომ მიაჩნია ზოგიერთ დირექტორს პედაგოგების მიმართ ნათქვამი გულთბილი სიტყვები და სკოლის წარმატებების გაშუქება საკუთარი თავის რეკლამად?

ბორის კინდღელი

ოსტატობის მწვერვალზე



მხატვრულ ჟურნალ-გაზეთში ამ ანოტაციის სათაურს ოდნავ შევცვლიდი. „პედაგოგის“ ადგილას „მწერლის“ მოთავსდებოდა. რომელი რომელს ვარჩიო, არ ვიცი. **ომარ ხუხუა** დიდი პედაგოგიც გახლავთ, დიდი მწერალიც, დიდი ხელოვანიც. თუ გნებავთ, დიდი პატრიოტიც.

ამ საუკუნის თოთხმეტი წელი ისე გაიპარა, ქართულ პროზაში საჩინოდ ღირებული არაფერი გამოჩენილა. და „აჰა, აღმობრწყინდა სამწერლო მზე დიდებულადა!“

აი, ათასასგვერდიანი ტეტრალოგია აქამდე არც ისე საჩინო მწერლისა **ომარ ხუხუასი – „კოლხური ზარი“.**

როგორც ფუტკარი ფიჭაში თავს უყრის თაფლს, მთელი ცხოვრება ისე აგროვებდა ომარ ხუხუა სიბრძნეს, რომ ამ წიგნში დაუნჯებულიყო. ტეტრალოგია ჩვენი ხალხის სევდიანი თუ გმირული ცხოვრების მატიანეა დღეს, რომელიც ხვალ ისტორიის კუთვნილება გახდება.

„ვაიმე, ამხელა წიგნს რა წამაკითხებსო!“ – რომ არ წამოიძახოს მკითხველმა, წინასწარ „ვანუგეშებ“: ისეთი ინტერესით, ემოციით მიდის თხრობა, ენობრივადაც ისე დახვეწილია, პოეტური სამკაულებით ისე დახუნძლული და მძაფრსიუჟეტიანია, შემოგაღამდება და შემოგათენდება კიდეც მის კითხვაში. სტილი? თვითმყოფადია და სადა.

„კოლხური ზარის“ მხატვრული „განჩხრეკა“ ანოტაციის საქმე არ არის. მაინც წამცდა ხელი: „დოროთე კეკუტია შავ ოჯალეშს ცოტ-ცოტაობით წრუპავდა, ღვინით შემუქებულ ულვაშებს თითებით ისწორებდა, უფრო ჩვენ გვაძალებდა, თუმცა რომელს გვჭირდებოდა დაძალება?“ ამ ბოლო ოთხ სიტყვაში ჩადებულია მთელი მწერლური ოსტატობის პეწი და ხიბლი. ე. ი. რასაც გვაძალებენ, ის თავად გვინდა. ასეთი კრიალოსნებით მივუყვებით პოეტური სახეებით მოკირწყლულ შარაგზას. ძალიან ვეცადე, მაგრამ რომანში ვერსად ვპოვე ხორკლიანი ფრაზა. სდექ, ბორის! სჯობს ენას კბილები დააჭირო და გზა მკითხველს მისცე.

დიდი პედაგოგის დიდი წიგნი



გპირდებით, დიდ სარგებლობას მოგიტანთ ეს წიგნი, ბევრ რამეს გასწავლით და შეგძენთ, სევდისგან მოგვრილი ცრემლის სიმლაშესაც გაგრძნობინებთ და ნუგეშის სიტკბოსაც. ოპტიმიზმი? რამდენიც გინდა. ახლოს ხმაურობს იგი. 80 წლის მიმკაკუნებელი მწერალი ასსაც გადალახავს. საქართველო გაბრწყინდება. მზე ჩადის? „მზე ხვალ ამოვა, უფრო დიდი და ჩახჩახა“

ბორის მიშველაძე

სარეკლამო კუთხე

შეგიძლიათ განათავსოთ:

განცხადებები
მილოცვები
ნეკროლოგები
სხვა ინფორმაცია

ნომრის რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+
№ 2 (4499)
15 ოქტომბერი, 2014 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07

ISSN 1987-9113
9 771987 911009